



ლიბრარული
ოღისეა

ვლადიმერ ნაზოკოვი

მაშენკა

რუსულიდან თარგმნა მიხეილ ანთაძემ



სულაკაურის
ბაიბლიოთეკა

ვლადიმირ ნაბოკოვი
მაჰინკა
რომანი

მთარგმნელი **მიხეილ ანთაძე**
რედაქტორი **ანა ჭაბაშვილი**
ყდის დიზაინერი **ნათია კვარაცხელია**
ყდაზე გამოყენებულია **რუსლან ბერიძის** ილუსტრაცია
ტექნიკური დიზაინერი **გიორგი ლომსაძე**

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2020
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი
ტელ: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-577-1

Vladimir Nabokov
MARY
A Novel

Copyright © 1970, Dmitri Nabokov
All rights reserved.

The publication was effected under the auspices of the Mikhail Prokhorov
Foundation TRANSCRIPT Programme to Support Translations of Russian
Literature



Georgian translation © Sulakauri Publishing, 2020
All rights reserved.

www.sulakauri.ge

ვუძღვნი ჩემს ცოლს.

...მოგონებანი წარსული წლების

დაუვიწყარი სიყვარულისა...

პუშკინი

– ლევ გლევო... ლევ გლებოვიჩი? ეს რა სახელი გქონიათ, ბატონო ჩემო, ენას მოიტეხს კაცი...

– ეგებ მოიტეხოს კიდეც, – ერთობ ცივად დაეთანხმა განინი, თან ცდილობდა, მოულოდნელად ჩამომდგარ უკუნში თანამოსაუბრის სახე გაერჩია. ჯავრობდა, ეს რა სულელურ მდგომარეობაში ჩავცვივდით ორივენი და ახლა კიდეც იძულებული ვარ, ამ უცხო კაცს საუბარი გავუბაო.

– სახელი ტყუილად არ მიკითხავს, – აუღელვებლად განაგრძობდა უცნობი, – ჩემის აზრით, ყველა სახელი...

– მოდი, ერთხელაც მივაჭერ ლილაკს, – შეანწყვეტინა განინმა.

– მიაჭირეთ. ოღონდაც, ეჭვი მაქვს, არ გაჭრის. ჰოდა, იმას მოგახსენებდით: ყოველი სახელი რაიმეს გვავალებს. ლევი და გლები რთული და იშვიათი დანყვილებაა. ისინი თქვენგან მოითხოვს, რომ სიტყვაძუნწი, მტკიცე და ორიგინალური იყოთ. მე შედარებით მოკრძალებული სახელი მაქვს, ჩემს ცოლს კი სულაც უბრალოდ მარია ჰქვია. ჰო, მართლა, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ: ალექსეი ივანოვიჩ ალფიოროვი. მაპატიეთ, მგონი, ფეხზე დაგაბიჯეთ...

– ძალზე სასიამოვნოა! – თქვა განინმა და უკუნეთში მიიგერია ხელი, რომელიც სახელოზე მოეფათურა, – როგორ ფიქრობთ, კიდეც დიდხანს მოგვიწევს აქ ყურყუტი? რამე უნდა ვქნათ. მაგის...

– მოდი, სკამზე ჩამოვსხდეთ და დავიცადოთ, – ისევ გაიგონა ზედ ყურთან ყოჩალი, აბეზარი ხმა, – გუშინ რომ ჩამოვედი,

კორიდორში შევეჩხებთ ერთმანეთს. სალამოს მომესმა, კედლის მიღმა რომ ახველებდით და ხველის ხმამ უმალ მიმახვედრა, რომ თანამემამულეები ვყოფილვართ. ერთი მითხარით, დიდი ხანია, რაც ამ პანსიონში ცხოვრობთ?

– დიდი ხანია. ასანთი გაქვთ?

– არა. არ ვენევი. პანსიონატი კი გვარიანად ჭუჭყიანია, კიდევ კარგი, რუსული მაინცაა. იცით, დღეს დიდი ბედნიერების დღე დამიდგა: რუსეთიდან ჩემი ცოლი ჩამოდის. ოთხი წელი განა ცოტაა... დიახ. ცოტალა დარჩა. უკვე კვირადღეა.

– რა უკუნეთია... – ჩაილაპარაკა განინმა და თითები გაატკაცუნა, – ნეტა რომელი საათია?..

ალფიოროვმა ღრმად ამოიოხრა და სნებაშეპარული ხანდაზმული მამაკაცის მჭკნარი, სევდისმომგვრელი სუნი გამოაფრქვია.

– მაშასადამე, ექვსი დღე რჩება. თუ არ ვცდები, შაბათს ჩამოვა. აი, გუშინ მისი წერილი მივიღე. მისამართი ძალიან სასაცილოდ ნაუნერია. ასე რომ არ ბნელოდეს, ნაგაკითხვებით. რას ფათურობთ, ძმობილო? მაგ სარკმელს ვერ გააღებთ.

– მაშინ გავტეხავ, – თქვა განინმა.

– შეეშვით მაგას, ლევ გლებოვიჩ, ჯობს, რომელიმე პტი-ჟო წავითამაშოთ. საოცრებები ვიცი, მე თვითონ ვიგონებ. მაგალითად, ჩაიფიქრეთ რამე ორნიშნა რიცხვი. მზად ხარ?

– მომეშვით, – თქვა განინმა და კედელს ორჯერ მუშტი დასცხო.

– შვეიცარი რა ხანია განისვენებს, – ამოიღვენთა ალფიოროვის ხმა, – ასე რომ, ვერც ბრაზხუნი გვიშველის.

– მაშინ ხომ აქ ღამისთევა არ აგვცდება?!

– ეტყობა, არ აგვცდება. არ მეთანხმებით, რომ ეს ჩვენი შეხვედრა რალაც სიმბოლურია? ერთ მიწაზე ისე ვიარეთ, ერთმანეთს არასდროს გადავყრივართ, ახლა კი აგერ შინ

დაბრუნებულებმა ამ სათავსოში ერთად შემოვაბიჯეთ. ჰო, უნდა გითხრათ, აქ ძალიან თხელი იატაკია. მის ქვეშ კი შავი ჭაა. ჰო, იმას გეუბნებოდით: უსიტყვოდ შემოვედით აქ უცნობები, უსიტყვოდ ავცურდით ზემოთ და უცებ – სტოპ. და უკუნიც გამეფდა.

– და სიმბოლო, ასე ვთქვათ, რაში მდგომარეობს? – ქუშად ჩაეძია განინი.

– აი, ამ შეჩერებაში, უძრაობაში, აი, ამ სიბნელეში. და კიდევ მოლოდინში. დღეს, სადილობისას, ის... რა ჰქვია.. მოხუცი მწერალი რომაა... ჰო, პოდტიაგინი... ჩვენი ემიგრანტული ცხოვრების საზრისზე მეკამათა, ჩვენს დიდ მოლოდინზე. დღეს აქ არ გისადილიათ, ლევ გლებოვიჩ?

– არა, ქალაქგარეთ ვიყავი.

– ამ გაზაფხულზე იქ ყოფნას ალბათ არაფერი სჯობია.

ალფიოროვის ხმა რამდენიმე წამით მიიკარგა და როცა კვლავ აღმოცენდა, უკვე ერთობ გამჟღერებულისყო, რადგანაც ალფიოროვი, სავარაუდოდ, მოლიმარი ლაპარაკობდა:

– აი, ცოლი რომ ჩამომივა, ჩვენც წავალთ ქალაქგარეთ. აღმერთებს სეირნობას.

– დიასახლისმა მითხრა, რომ თქვენი ოთახი შაბათს გათავისუფლდება.

– ასე გახლავთ, – მშრალად მიუგო განინმა.

– ბერლინიდან სულ მიდიხართ?

განინმა თავი დაუქნია, რადგან დაავიწყდა, რომ სიბნელეში თავის კანტურს აზრი არ ჰქონდა. ალფიოროვი ძელსკამზე აწრიალდა, ორჯერ ამოიხვნეშა, მერე კი ჩუმი და ნაზი სტვენა გააბა. გაჩუმდებოდა და თავიდან იწყებდა. ათიოდე წუთმა ჩაიარა; უეცრად ზემოთ რაღაცამ გაიჩხაკუნა.

– ასე არ ჯობია? – ჩაიცინა განინმა.

იმავნამს ჭერში ნათურა აინთო და ზევით ძაგძავით აცუ-

რებული გალია ყვითელი შუქით აავსო. ალფიოროვმა თვალები ახლად გაღვიძებულივით აახამხამა. ძველი, ბალახონის მსგავსი ქვიშისფერი, როგორც იტყვიან, დემისეზონის პალტო ეცვა, ხელში ქვაბურა ქუდი ეკავა. მეჩხერი ქერა თმა ოდნავ ასწწვოდა, და იყო მის იერში რაღაც უგემოვნო, მოტკბო-ევანგელური – მის ოქროსფერ წვერში, გამხდარ კისერში, რომლიდანაც ქრელ შარფს იხსნიდა.

ლიფტი მეოთხე სართულის ბაქანზე ხმაურით გაქვავდა.

– სასწაულია, – ჩაიღიმოდა ალფიოროვმა და კარი გააღო... – მეგონა, ზემოთ ვინმემ ამოგვიყვანა-მეთქი.. არადა, აქ არავინაა. მიბრძანდით, ლევ გლებოვიჩ, მე მხოლოდ თქვენ შემდეგ.

მაგრამ განინი მოილუშა და ალფიოროვი მსუბუქად გაიგდო წინ, თვითონაც გამოვიდა და რკინის კარი გამოიჯახუნა. აქამდე ასეთი სიფიცხე სიცოცხლეში არ გამოემყლავებინა.

– სასწაულია, – იმეორებდა ალფიოროვი, – ამოვედით და არავინ დაგვხვდა. იცით, ესეც ნამდვილი სიმბოლოა...

პანსიონი რუსული გახლდათ და თანაც ყოვლად აუტანელი. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ აქ დღის და ღამის ნებისმიერ დროს კარგად ისმოდა ქალაქის რკინიგზაზე მოძრავი მატარებლების ჩავლა-ამოვლა, რის გამოც იფიქრებდით, მთელი ეს სახლი სადღაც მიემგზავრებაო. შესასვლელში მქრქალი სარკე ეკიდა, ჩარჩოზე მიმაგრებული ხელთათმანების საკიდით, იქვე იდგა მუხის ბაული, რომელზეც ალბათ მუხლებს მიიმტვრევდით და რომლის მიღმაც ვინრო, ცარიელი კორიდორი იწყებოდა. აქეთ და იქით სამ-სამი ოთახი იყო ჩამწყვირებული, მათ კარებზე დიდრონი შავი ციფრები მიენებებინათ: ძველი კალენდრიდან ამოხეული – აპრილის პირველი ექვსი დღის აღმნიშვნელი უბრალო ფურცლები. პირველი აპრილის ოთახში – პირველი კარი მარცხნივ – ახლა ალფიოროვი ცხოვრობდა, მომდევნოში – განინი, მესამეში – თვითონ დიასახლისი, ლიდია ნიკოლაევნა დორნი, გერმანელი კომერსანტის ქვრივი, რომელიც ოცი წლის წინათ სარეპტიდან აქ ქმარს ჩამოჰყოლოდა, ეს უკანასკნელი კი შარშანწინ ტვინის ანთებით გარდასცვლოდა. მარჯვენა სამ ნომერში – ოთხიდან ექვსი აპრილის ჩათვლით ცხოვრობდნენ: მოხუცი რუსი პოეტი ანტონ სერგეევიჩ პოდტიაგინი, დიდმკერდა და ლურჯთვალეზა ასული კლარა და ბოლოს – მეექვსე ოთახში, დერეფნის ბოლოს, ბალეტის მოცეკვავეები – კოლინი და გორნოცვეტოვი, ორივენი ქალურად მოკისკისენი, გაჩხინკულნი, ცხვირგაპუდრულნი და დაკუნთულბარძაყიანნი. კორიდორის პირველი მონაკვეთის ბოლოს სასადილო ოთახი მდებარეობდა, სადაც კარის გასწვრივ ლითოგრაფიული „საიდუმლო

სერობა“ ეკიდა, მეორე კედელთან კი მუცელგამობერილი ბუფეტი იდგა, ზედ ორი ბროლის ვაზით, რომლებიც ოდესღაც ამ ბინაში არსებულ საგანთა შორის უსუფთავეს ნივთებად მიიჩნეოდნენ, ახლა კი დაბარდნილ მტვერს ეს ბრწყინვალეობა ჩაემუქებინა, ხოლო მათ ზემოთ ირმების ყვითელი, რქიანი თავის ქალები მიელურსმათ. სასადილომდე რომ მიაღწევდა, კორიდორი მარჯვნივ უხვევდა და იქ, ტრაგიკულსა და აქოთებულ დასაკარგავში სამზარეულოს მიაგნებდით, იქვე მოსამსახურე ქალის სოროს, ბინძურ სააბაზანოს და სატუალეტო სენაკსაც, რომლის კარზეც ორი ალისფერი ნულიანი მიეკრათ, განძარცვულნი კანონით კუთვნილი თავისი ათეულებისაგან, რომლებთან ერთადაც ოდესღაც ბატონი დორნის მაგიდის კალენდარში ორ სხვადასხვა კვირადღეს აღნიშნავდნენ. დაქვრივებიდან ერთ თვეში ტანმორჩილმა, ყრუჩუნა და, ცოტა არ იყოს, შერეკილმა ლიდა ნიკოლაეენამ თავისუფალი ბინა დაიქირავა და პანსიონად მოაწყო, თანაც მემკვიდრეობით მიღებული მცირეოდენი საყოფაცხოვრებო ნივთების დანიშნულებისამებრ გადანაწილებისას გასაოცარი გამომგონებლობით გამოიჩინა თავი. გასაქირავებლად არჩეული ოთახები მაგიდებით, სკამებით, ქრიალა კარადებითა და ორლოჩოლო ტახტებით გააწყო და ამით შეხმატკბილებული ავეჯი ერთმანეთს მოსწყვიტა, დააშორა, გააფერმკრთალა, ჩამოაჟამა და ძველმანებად აქცია, გეგონება, დაშლილი ჩონჩხის ძვლებიაო. განსვენებულის საწერი მაგიდა – ზედ რკინის გომბეშო-სამელნიანად და ტრიუმივით ღრმა შუა უჯრიანად – პირველ ნომერში აღმოჩენილიყო, ანუ იქ, სადაც ახლა ალფიოროვი ცხოვრობდა, ხოლო ტრიალ-ბზრიალა ტაბურეტი, რომელიც თავის დროზე სწორედ ამ მაგიდასთან ერთად იყო ნაყიდი, მეექვსე ოთახში მცხოვრებ ბაღეტის მოცეკვავეებს ობლად შეჰკედლებოდა. მწვანე სავარძლებიც განწყილებულიყვნენ: ერთს განინთან მოეწყინა, მეორეში კი

თვით დიასახლისი იჯდა, ან მისი ბებერი ტაქსა – შავი მსუქანი ძუქნა ჭალარა დრუნჩითა და ჩამოფლატული, ხავერდოვანი, პეპელას ფრთებივით ნაზი ყურებით. კლარას ოთახში, თაროზე სამშვენისად ენციკლოპედიის რამდენიმე ტომი განისვენებდა, ხოლო დანარჩენ ტომებს თავი პოდტიაგინთან მოეყარა. კლარასვე რგებოდა სარკეებიან-უჯრებიანი ერთადერთი ნესიერი პირსაბანი, დანარჩენ ნომრებში უბრალოდ მძიმე სადგარებზე თუნუქის თასები და თუნუქისვე თუნგები ენყო. აი, სანოლები კი შესაძენი გაუხდა, რაც ქალბატონმა დორნმა მძიმედ გადაიტანა. განა ძუნნი იყო, უბრალოდ, ტკბილ აზარტს აყოლილი, ერთგვარ სამეურნეო სიამაყეს შეეპყრო, ძველი გარემო რა მოხერხებულად გადავახალისეო, და ამ შემთხვევის გამო ნუხდა, ნეტა ამ ვეებერთელა, ქვრივისთვის ერთობ ვრცელი ორადგილიანი სანოლის საჭირო ზომებად დახერხვა შესაძლებელი ყოფილიყო. ოთახებს თვითონ ალაგებდა, თანაც უგულოდ, საჭმლის კეთება კი სულ არ იცოდა და მზარეულის დაქირავება მოუხდა, – ერთი ვეება წითური ქალის – ბაზრის რისხვის, – ყოველ პარასკევს ჟოლოსფერ შლაპას რომ დაიხურავდა და ჩრდილო კვარტალებისკენ გასწევდა თავისი მაცდუნებელი ფერ-ხორცის გასაყიდად. ლიდია ნიკოლაევნას სამზარეულოში ფეხს ვერ შეადგმევინებდი, საერთოდაც ერთი ჩუმი, შეშინებული არსება გახლდათ. კორიდორში რომ ჩაიცუნცულეებდა, მდგმურებს ერვენებოდათ, ეს ჭალარა, ცხვირპაჭუა ქალი აქაურობის დიასახლისი კი არა, სხვის ბინაში მოხვედრილი ერთი სულელი დედაბერიანო. დილაობით ნაჭრის თოჯინასავით მოიკეცებოდა და ავეჯის ქვეშიდან ჯაგრისით მტვერი გამოჰქონდა ხოლმე, მერე კი თავის ყველაზე პატარა ოთახში გაუჩინარდებოდა, იქ რომელიმე გაქეჩილ გერმანულ წიგნს კითხულობდა ან განსვენებული ქმრის ქალადებს ათვალეირებდა, თუმცა მათი არაფერი გაეგებოდა. მხოლოდ პოდტიაგინი თუ შევიდოდა ამ ოთახში,

ალერსიან ტაქსას მოეფერებოდა, ყურებსა და ქალარა დრუნჩზე ხელს მოუთათუნებდა, შეეცდებოდა, რომ ძალღს მისთვის თათი გაენოდებინა და თან ლიღია ნიკოლაევენას თავის ბებრულ, მტანჯველ ავადმყოფობაზე ესაუბრებოდა, ეუბნებოდა, დიდი ხანია, უკვე ნახევარი წელია, პარიზის ვიზას ვენვალეები, იქ ჩემი ძმისშვილი ცხოვრობს და გრძელ-გრძელი ხრაშუნა ბაგეტები წითელ ღვინოსთან ერთად ძალიან იაფი ჯდებაო. დედაბერი თავს უკანტურებდა, ხანდახან სხვა მდგმურების შესახებ კითხვებს უსვამდა, განსაკუთრებით განინი აინტერესებდა, რადგანაც, მისი აზრით, იგი იმ რუს ახალგაზრდებს სულ არ ჰგავდა, რომლებიც კი ოდესმე პანსიონში მდგმურად ჰყოლოდა. განინმა აქ სამი თვე დაყო, ახლა კი წასვლას აპირებდა, თქვა კიდეც, ამ შაბათს ოთახს დავცლიო, მაგრამ გადაბარგება ადრეც მოუსურვებია, თუმცა მერე გადადებდა და გადაიფიქრებდა ხოლმე. ლიღია ნიკოლაევენამ ტკბილი მოხუცი პოეტისგან იცოდა, რომ განინს მეგობარი ქალი ჰყავდა. საქმეც სწორედ ეს იყო.

ბოლო ხანს ერთთავად მოღუნებული და მოღუშული დაიარებოდა. ადრე იაპონელი აკრობატივით ყირაზე გადადიოდა, ფეხებს აიშვერდა და ხელებით რომ მიაბიჯებდა, იალქნიან ნავს ემსგავსებოდა, კბილებით სკამს მაღლა სწევდა და მკლავზე დახვეულ თოქს ბიციფსით წყვეტდა. სხეულში ცვიცხლი უგიზგიზებდა, – ღობეზე გადაახტუნებდა, ბოდს მოარყევინებდა, ერთი სიტყვით, ახალგაზრდულად რომ ვთქვათ, მაგრამ უბერავდა. ახლა კი რომელიღაც ქანჭიკი მოშვებოდა, წელშიც კი მოკაკვულიყო და აკი გამოუტყდა კიდევაც პოდტიაგინს, დედაკაცივით უძილობა დამჩემდაო. ორშაბათი რომ დგებოდა, იმ ღამითაც ცუდად ეძინა, გაჭედლილ ლიფტში აბეზარ უცნობთან გატარებული ოცი წუთის შემდეგ. ორშაბათ დიღას დიდხანს შიშველი იჯდა, ძირს ჩამოყრილი, გათოშილი ხელები მოექცია მუხლებს შორის და ტანჯვით ფიქრობდა, ახლა ეს მტვრითა და ოფლით

გაჟღერებული პერანგი, წინდები, შარვალი უნდა ჩავიცვაო, თავისი თავი ცირკის პუდელს აგონებდა, ასე საშინლად და გულსამრევად სანყალი რომა ადამიანის სამოსში გამონყობილი. მოდუნება ნაწილობრივ უსაქმობის შედეგი გახლდათ. ამჟამად შრომა და ჯაფა დიდად აღარ უწევდა, რადგან ზამთარში რალაც თანხა მოექუჩებინა, რომლიდანაც ამასობაში ორასი მარკა თულა ექნებოდა შემორჩენილი, მეტი არა: უკანასკნელ სამ თვეში ბლომად ფული დაეხარჯა.

შარშან, ბერლინში რომ ჩამოვიდა, სამსახური მალევე იშოვა და ამის მერეც იანვრამდე სულ შრომობდა – ხან სად და ხან კიდევ სად: დილაუთენია ჩამომდგარ ყვითელ სიბნელეს ეზიარა ფაბრიკაში მიმავალი, ფეხების ტკივილსაც გაეცნო, რომელსაც მაშინ შეიგრძნობ, როდესაც რესტორან „Pir Gori“-ში მაგიდიდან მაგიდამდე თეფშით ხელში ათ ვერსს მიხვეულ-მოხვეულად გაირბენ; სხვაც ბევრი ნახა, რასაც პოულობდა, ხელიდან არ უშვებდა – ხარახურასაც, ბრილიანტინსაც და ნამდვილ ბრილიანტსაც. არაფერს თაკილობდა: თავის ჩრდილსაც კი ყიდდა ხოლმე მრავალი ჩვენგანის მსგავსად. სხვაგვარად რომ ითქვას, სტატისტიად მიდიოდა გადაღებებზე, ქალაქგარეთ, სადაც ბალანის ფარდულში სტატისტიკების კაშკაშა მკვდრისფერ ბრბოზე ზარბაზნებივით მიშვერილი ფარნების შემზარავი ათინათები მისტიკური სისინით იფრქვეოდა, მომაკვდინებლად თეთრი ბრწყინვით ყველაფერს ბუგავდა და გაშემებული სახეების შეფერადებულ ცვილს ნათელს აფენდა, მერე კი – ერთი გატკაცუნება, და ყველაფერი ქრებოდა, მაგრამ რთული შუშების წიაღში კიდევ დიდხანს არ ნავლდებოდა მენამული დაისი, თითქოს ადამიანების სირცხვილს გამოხატავსო. გარიგება შემდგარი გახლდათ და, აჰა, ჩვენი უსახელო აჩრდილები მთელ მსოფლიოს მიედებინან.

დარჩენილი ფული ბერლინიდან გასამგზავრებლად კმა-